

დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მიზანი

1. ეს სტანდარტი განსაზღვრავს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
2. დოქტორანტურის მიზანია სადოქტორო პროგრამების საფუძველზე დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა, სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ახალი ცოდნის შექმნისა და დანერგვისთვის ხელის შეწყობა.

მუხლი 2. დოქტორანტურა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და უმაღლესი სკოლის პედაგოგიური კადრების მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
2. სადოქტორო პროგრამას წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთი ან რამდენიმე ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.

II. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული

აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებაზე ან აბარებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში შესაბამის პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით. გასაუბრებაზე ან სპეციალობაში გამოცდაზე დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ხელმისაწვდომი. შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით. (26.02.2018, №77/2018)

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (იხ. დანართი 1).

5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას, ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით. (20.02.2017, №18/2017)

6. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.

7. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით.

8. დოქტორანტს აქვს უფლება შეიცვალოს სადოქტორო პროგრამა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში. აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამისი სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის განცხადების საფუძველზე, იმ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, რომელზე გადასვლაც სურს დოქტორანტს. დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლა ფორმდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 4. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.
2. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე არაუმეტეს ხუთ დოქტორანტს. დასაშვებია ხუთზე მეტი დოქტორანტის თანახელმძღვანელობა. (26.02.2018, №77/2018)
3. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმის შესრულებას.
4. სამეცნიერო ხელმძღვანელი, ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში, სწავლის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.
5. დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩაბარებისა და სწავლის პირობები

1. დოქტორანტმა ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის განმავლობაში სწავლისა და კვლევის პროცესში უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ, მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა. ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხი (ხელმძღვანელის შუამდგომლობის განხილვა, დამატებული სემესტრის/სემესტრების რაოდენობა და სხვ.) წესრიგდება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.
2. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტს შეიძლება დაეთმოს 40–დან 60 კრედიტამდე, დანარჩენი ეთმობა კვლევას. სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისათვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობას არეგულირებს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებები.
3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ ამ დებულებით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი, სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული კრედიტების დაგროვების შემდეგ დისერტაციას წარადგენენ და დაიცავენ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით.
4. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

მუხლი 6. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:

- ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას;
- გ) ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: (20.02.2017, №18/2017) (26.02.2018, №77/2018)
 - ა) მინიმუმ ერთი სემინარი (10-30 კრედიტი, სავალდებულო);
 - ბ) სხვა სადოქტორო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო აქტივობები (სასწავლო კურსები/მოდულები, პრაქტიკა, პროფესორის ასისტენტობა და სხვ.) განისაზღვრება სადოქტორო პროგრამითა და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით;
 - გ) კვლევის მეთოდები (არანაკლებ 5-15 კრედიტი, სავალდებულო 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხული დოქტორანტებისთვის).
3. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს აკადემიური პერსონალი/მასწავლებელი და ასრულებს მისთვის განსაზღვრულ მინიმალური სავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებულ სამუშაოს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი).
4. დოქტორანტურის სავალდებულო კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენით და დაცვით. (20.02.2017, №18/2017)
5. დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემა საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ზოგადი სქემების ფარგლებში ფაკულტეტი უფლებამოსილია დაადგინოს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების საფაკულტეტო სქემები, სადაც შესაძლებელია დაზუსტდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შემადგენელი ელემენტები და ათი სტატუსი,

ამა თუ იმ სასწავლო კურსისათვის, დოქტორანტის ამა თუ იმ საქმიანობისათვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა (იხ. დანართი 2).

6. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

მუხლი 8. დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმები

1. დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით თვითონ ადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ, დოქტორანტი შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა 2) და მის თანდართულ დოკუმენტაციას წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას, რომელიც სადისერტაციო საბჭოს ოფიციალურად აცნობებს დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტის შესრულების შესახებ.

2. დოქტორანტურაში სწავლის დასაწყისში დოქტორანტი თავის სამეცნიერო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და შევსებულ სპეციალურ ფორმას (ფორმა 1) წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა იქმნება სადისერტაციო ნაშრომის (კონკრეტული კვლევითი პროექტის) განსახორციელებლად. დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმაში მოცემულია კვლევის მიზანი, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

მუხლი 9. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში.

2. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო კვლევის შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული). სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. (26.02.2018, №77/2018)

3. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში, სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

4. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას და ფორმატს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

5. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვის შემდეგ ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით, დისერტაციის ერთი ბეჭდური ან ელექტრონული ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას. დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნდა გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გამომცემლობის ვებგვერდზე და საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. (26.02.2018, №77/2018)

მუხლი 10. დისერტაციის წარდგენა

1. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დისერტაციის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

2. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე წარდგენის თაობაზე.

3. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება განსაზღვრავს დოქტორანტისადმი სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების წაყენებულ მოთხოვნებს (რის დამადასტურებელ დოკუმენტსაც წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს).

4. დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობაა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაცია, რაც გულისხმობს, რომ დოქტორანტმა უნდა დააკმაყოფილოს ქვემოთ წარმოდგენილი ერთ–ერთი მოთხოვნა მაინც:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ჰყავს უცხოელი ხელმძღვანელი;

ბ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად (რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით) ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings);

გ) უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დოქტორანტის სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად გადაცემული ერთი სტატიის ან დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30-45 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირებას (იხ. დანართი 3).

5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის მიმართულების სადისერტაციო ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის საკმარისია:

ა) უცხო ენაზე თარგმნილი დისერტაციის შემოკლებული ვერსიის (30–45 გვერდი) გაგზავნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, რომელთა ნუსხას ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო;

ბ) სტატიის გამოქვეყნება უცხოენოვან სამეცნიერო ჟურნალში.

5¹. იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც დოქტორანტის სტატუსს მოიპოვებენ 2018-2019 სასწავლო წლიდან, დისერტაციის დაცვის აუცილებელი პირობაა შემდეგი სახის ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება - რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის (ERIH PLUS მხოლოდ იმ დოქტორანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის მიმართულელებით) ბაზებში. (26.02.2018, №77/2018)

6. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან.

7. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 11. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციის შესაფასებლად გამოყოფს მინიმუმ ორ შემფასებელს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული წესით.

2. თუ ორიდან ერთი შემფასებელი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო საბჭო ნაშრომის შესაფასებლად გამოყოფს მესამე შემფასებელს.

3. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

4. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უფლება ეძლევა, დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე.

5. დისერტაციის განხილვისა და შეფასების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 12. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისაგან, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

3. ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.
4. კომისიის არჩევის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
5. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს სადისერტაციო კომისიის შექმნის განსხვავებული წესი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. (26.02.2018, №77/2018)

მუხლი 13. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება შესაბამისი ფაკულტეტის ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ორი კვირით ადრე.
2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.
3. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას.
4. დაცვის რეგლამენტს განსაზღვრავს ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.
5. იმ სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და აგრეთვე უცხოეთის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი, რომელსაც ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. (26.02.2018, №77/2018)

მუხლი 14. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.
2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:
 - ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
 - ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

ყოველმხრივ აღმატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღმატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ა"-ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 15. ხარისხის მინიჭება

1. დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად - მიმართულების ან/და დარგის/ სპეციალობის მითითებით.

3. დიპლომს ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 16. დაფინანსება

დოქტორანტის საუნივერსიტეტო დაფინანსება ხორციელდება სტიპენდიების, სახელმწიფო გრანტის, ქველმოქმედების და თვითდაფინანსების ფორმით.

მუხლი 17. გარდამავალი დებულებები (26.02.2018, №77/2018)

წინამდებარე დებულების მე-10 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ვრცელდება მხოლოდ იმ დოქტორანტებზე, რომლებიც შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხნენ 2018-2019 სასწავლო წლამდე.